პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 243 (9910) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## თბილისი—ძიუდოში სტუდენტთა შორის X მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი

# იქნებ გაგვემიჯნა?



ქალთა ძიუდომ მოიპოვა ადგილი მზის ქვეშ. ამის უარყოფა არ შეიძლება თუნდაც თბილისში მიმდინარე ტურნირის მაგალითზეც: სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად ტარდება ეროვნული ჩემპიონატები, ეწყობა მსოფლიოსა და ევროპის პირველობები. ახლა ამ შეჯიბრებებს კიდევ ერთი საინტერესო ტურნირი დაემატა: სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც წარმომადგენლობით არც ერთ ზემოჩამოთვლილ ღონისძიებას არ ჩამოუვარდება.

ქალებს შეუყვარდათ ძიუდო და შესაძლებლობის ფარგლებში ეუფლებიან კიდეც ამ საინტერესო და თვითმყოფადი ჭიდაობის ხელოვნებას. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ისინი ყველა ნიუანსს იცავენ, აი, ტექნიკურ მომზადებასა და ფიზიკურ მონაცემებში კი ერთგვარი ვაკუუმი იგრძნობა. ეს კი არსებითი მინუსია, მით უფრო მაშინ, როცა ქალების გვერდით სარბიელზე ძიუდოისტი ვაჟები გამოდიან.

სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით ერთი მოსაზრება უნდა გამოვთქვათ. ქალთა ძიუდოს შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, მსგავსი ტურნირებისთვის დამოუკიდებელი ხასიათი მიგვეცა და იგი ვაჟთა შეჯიბრებებისაგან მკვეთრად გაგვემიჯნა?

დარწმუნებული ვართ, რომ ორგანიზატორებს გარკვეული მოსაზრებები ჰქონდათ, როცა ამ ორ ასპარეზობას ერთად ატარებდნენ. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მაყურებლების პოზიციიდან გამოვდივართ და წმინდა სანახაობრივ მხარეზე ვამახვილებთ ყურადღებას. ვაჟთა ორთაბრძოლების გვერდით ქალთა ძიუდო ჰკარგავს ეფექტს და ერთგვარად იკარგება კიდეც.

აი, ერთი მაგალითი გუშინწინდელი ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრებიდან. ჩემპიონატის მესამე დღეს ქალებმა ორ წონაში (52 და 56 კგ) გაითამაშეს საპრიზო ადგილები. გადამწყვეტ ეტაპზე ექვსი შეხვედრა ჩატარდა — ორი ფინალური და ოთხი ნახევარფინალური. ამ ექვს შეხვედრას ლიმიტით გათვალისწინებული 24 წუთი (ექვსჯერ ოთხი წუთი) დასჭირდა. იმიტომ, რომ არც ერთ შეხვედრაში არ დაფიქსირდა წმინდა გამარჯვება და კიდევ იმიტომ, რომ 24 წუთის მანძილზე სულ ოთხი თუ ხუთი ილეთი შესრულდა.

ქალებს ტექნიკური ოსტატობის სიღარიბეს ვერაფრით დავწამებთ. ისინი ფაქტიურად ყველა ილეთს იყენებენ (მოგვერდებს, კისრულებს, სარმებსა და ასე შემდეგ), მაგრამ იმის გამო, რომ ფიზიკური მომზადება არ ყოფნით, ვერც ერთი კომბინაცია ბოლომდე ვერ მიჰყავთ. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ მძიმე წონაში გამარჯვებული ვერონიკა კოზლოვსკაია და ისიც, იმიტომ, რომ თავის მეტოქეებზე საგრძნობლად უფრო მძიმე იყო.

ახლა ვაჟთა იმავე დღის ორთაბრძოლების სტენოგრამას გადავხედოთ. 71 კილოგრამში ლიმიტით გათვალისწინებული 15 წუთის ნაცვლად (სამი 5-წუთიანი ბრძოლა)

იხ. მე-3 გვ.

## „დინამო“ ვარჯიშს შეუდგა



**სსრ კავშირის** სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან ცნობა მოვიდა იმის თაობაზე, რომ საქველმოქმედო საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში იტალიის „ნაპოლისა“ და თბილისის „დინამოს“ შორის, რომელიც 24 დეკემბერს იყო დანიშნული, იტალიელთა თხოვნით გადატანილია და მოგვიანებით შედგება.

ასევე გადაიტანეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემენის „ვერდერისა“ და ერევნის „არარატის“ ფეხბურთელთა მატჩი. შესაძლოა ორი-სამი თვის შემდეგ შეიქმნას შესაფერისი პირობები მხარეთა მოსალაპარაკებლად და თამაშის ჩასატარებლად.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები შეუდგნენ ახალი სეზონისთვის მზადებას, უკვე რამდენიმე დღეა გუნდი ემზადება დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. დინამოელთა კოლექტივს წლეულს მეტად დიდმნიშვნელოვანი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი, მას მრავალ საინტერესო შეჯიბრებაში მოუწევს მონაწილეობის მიღება.

**სურათზე: თბილისის დინამოელები ერთ-ერთი ვარჯიშის დროს.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## ახალციხელები—საკავშირო ტურნირზე

**რუსეთის** უძველეს ქალაქ ნოვგოროდის რინგზე გამართულმა ალექსანდრე ნეველის სახელობის ჭაბუკთა საკავშირო ტურნირმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 145 სპორტსმენს მოუყარა თავი.

შესანიშნავად გამოვიდნენ ახალციხის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელები. 40 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულის სახელი მოიპოვა მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლემ ანდრეი აკოფიანმა. 44 კგ წონით კატეგორიაში ოსტატურად წარმართა ორთაბრძოლები დათო იაძემ, რომელმაც ოქროს მედალთან ერთად დაიმსახურა სპეციალური პრიზიც — საუკეთესო ტექნიკისათვის. მას ეს საპატიო ჯილდო იგორ ჩერნოვთან, ოლეგ დანილენკოსთან, (ორივე — ვიტებსკი), მინსკელ იური დავიდენკოსთან და მასპინძელ ვიქტორ ტ... კახოვთან პირისპირ გამართულ დაძაბულ ბრძოლებში ერგო.

**ლ. გიორგაძე,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**





**სურათზე: ტურნირში გამარჯვებული ახალციხელი ჭაბუკი მოკრივეები დათო იაძე და ანდრეი აკოფიანი.**

## დაჯილდოება

**რესპუბლიკაში** ხელბურთის განვითარების მიზნით გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ჯემალ ევგენის-ძე აბაიშვილი.**

## წოდების მინიჭება

**საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:**

**ველოსპორტში** — გარი კეხბას (თბილისი, პროფკავშირები), ედუარდ კარაპეტიანს, კონსტანტინე ჯვარშეიშვილს (ორივე — თბილისი, „დინამო“)

## წელიწადი — მსოფლიო — ნარკვევები

**ჩიბა** (იაპონია). აქ მიმდინარე „სტაიერულ ესტაფეტაში“ წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა მძლეოსნები. ჩვენმა ექვსეულმა მხოლოდ V ადგილი დაიკავა. გამარჯვება კლასიკურ მარათონულ დისტანციაზე (42 კმ 195 მ), რომელიც 6 ეტაპად იყო დაყოფილი, ახალზელანდიელმა ქალებმა მოიპოვეს — 2:15.49. ვაჟებში საბჭოთა მძლეოსნები არ ასპარეზობდნენ. აქ ყველას აჯობა ეთიოპიის გუნდმა —1:59.41.

**სარაევო.** ბობსლეისტთა მსოფლიო თასის პირველ ეტაპზე საბჭოთა კვარტეტმა (რიგელი იანის კიპურსის ეკიპაჟი) მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა — 3.19.23. გამარჯვება კი წილად ხვდა გდრ-ის ოთხეულს —3.18,63.

**კარდიფი.** უელსის დედაქალაქის გარეუბანში ჩატარდა მძლეოსანთა საერთაშორისო კროსი. 8-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი სტივ ტანსტელი იყო — 23.55,0. ოლიმპიური ჩემპიონი 5 კილომეტრზე რბენაში კენიელი ჯონ ნგუნი მეექვსე ადგილზე დარჩა. 5 კილომეტრზე უძლიერესი ჯილ ჰანტერია — 18.51,0.

**ლონდონი.** აქ მიმდინარე ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში კიეველმა ოქსანა ომელიანჩიკმა პირველი ადგილი დაიკავა თავისუფალ ვარჯიშში, ვოროშილოვგრადელი გენადი ზადაროჟნი კი უძლიერესი იყო ორძელზე და ძელზე.

**კრანსკა გორა** (იუგოსლავია). წარმატებით ასპარეზობს მსოფლიო თასის ეტაპებზე ლუქსემბურგელი სამთომოთხილამურე მარკ ჟირარდელი, რომელმაც სლალომში პირველი ადგილი დაიკავა (1.50,52) და ნახევარი წამით აჯობა დასავლეთგერმანელ არმინ ბიტნერს.

# მოძმეთა დასახმარებლად

## დიდოსტატთა საქველმოქმედო მატჩი

**მადრიდის** პარკ კასა დე კამპოს ერთ-ერთ პავილიონში დამთავრდა საბჭოთა მოჭადრაკეებისა და „დანარჩენი მსოფლიოს“ ამხანაგური მატჩი „სწრაფ ჭადრაკში“, ჩვენს ნაკრებში თამაშობდნენ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, ალექსანდრე ბელიავსკი, ანდრეი სოკოლოვი, სერგეი დოლმატოვი, ლევ ფსახისი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, მიხეილ გურევიჩი და ალექსანდრე ჩერნინი. „მსოფლიო ნაკრები“ ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ულფ ანდერსონი (შვეცია), ჯონათან სპილმენი (ინგლისი), ჰესუს ნოგეირასი (კუბა), იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია), მიგელ ილესკასი (ესპანეთი).

ეს საინტერესო მატჩი ერთი ქულის სხვაობით მოიგეს ჩვენმა დიდოსტატებმა — 32,5:31,5.

შეჯიბრების საპრიზო ფონდის ნახევარი — 80 ათასი დოლარი — გამარჯვებულებმა გადარიცხეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სომხეთში მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთა დახმარების ფონდში. სომეხი ხალხის დასახმარებლად გაიღეს კუთვნილი თანხის ნაწილი „მსოფლიო ნაკრების“ წევრებმაც, ნაწილი კი ლენინის სახელობის საბჭოთა ბავშვთა ფონდში გადარიცხეს.



თბილისის 26 კომისრის რაიონის არასაუწყებო დაცვის თანამშრომლები ამანათებს უგზავნიან სომხეთში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასის გათამაშება ცურვაში

# რატომ ვაჭიანურებთ რადიკალური ზომების გატარებას?

ცურვა სპორტის ერთ-ერთი ის სახეობაა, რომელზე წერაც ჩვენთვის ყველაზე უსიამოა. უსიამოა იმდენად, რამდენადაც ჩვენი მოცურავეები ვერა და ვერ გვახარებენ. ვერ გვახარებენ წლების განმავლობაში და ჩვენც ამ წლების განმავლობაში ერთი და იგივეს ვწერთ და გავიძახით — ჩვენი მოცურავეები საკავშირო სტანდარტების დონეს ათი-თხუთმეტი წლით ჩამორჩნენო. და ეს იმ დროს, როცა საბჭოთა მოცურავეები, თითო-ოროლას გამოკლებით, მსოფლიოში ეტალონად სულაც არ გამოდგებიან.

რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად? იცვლებიან ნაკრების უფროსი მწვრთნელები, სპორტსკოლების დირექტორები, სხვა ხელმძღვანელები; ათასგვარ ექსპერიმენტებსაც მივმართავთ, მაგრამ საშველი მაინც არა ჩანს.

იქნებ მოცურავეებს ვარჯიშის პირობები არა აქვთ? იქნებ მათ მწვრთნელებს რაიმე უშლით ხელს? ესეც არის, მაგრამ არის აუზები, არიან მოცურავეებიც და მათი მწვრთნელებიც, რომლებიც შეუფერხებლად მუშაობენ. მათთვის ათასგვარი შეკრებები ტარდება, ათიათასობით მანეთი იხარჯება.

მერედა რისთვის?

იმისთვის, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, ამა თუ იმ დისტანციის სტარტზე, თითო-ოროლა სპორტსმენი გამოვიდეს?

ასე მოხდა ახლახანს თბილისში, ვაკის საცურაო აუზში გამართულ საქართველოს მოცურავეთა თასის გათამაშებაში, რომელიც ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა. აქ ქალთა 200 მეტრზე გულაღმა, 400 მეტრზე კომპლექსურ, 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და ამავე სახეობაში ვაჟთა 1500-მეტრიან დისტანციაზე სააპარეზოდ... თითო სპორტსმენი გამოვიდა. პროგრამის ორ სახეობაში ორ-ორი, ხუთში კი სამად-სამი მოცურავე იბრძოდა გამარჯვებისთვის.

ახლა მათ შედეგებსაც გადავხედოთ. ჩათვლას გუნდურ პირველობაში, I თანრიგისა და უკეთესი შედეგი იძლეოდა, მაგრამ უამრავ მოცურავეს ესეც სანატრელი გახდომია. ჩათვლას ვინ ჩივის, როცა ორივე ასაკობრივი ჯგუფის 42-მა მოცურავემ საპრიზო ადგილები და გამარჯვებებიც კი II და III თანრიგების შედეგებით მოიპოვეს.

ახლა, ალბათ, მათი მწვრთნელები ამ საპრიზო ადგილებითა და გამარჯვებებით თავს მოიწონებენ, იქნებ ისიც თქვან, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, მაგრამ ვის რად უნდა ასეთი შედეგები, რომლებიც გუნდს ვერაფერს არგებენ?

ამ შეჯიბრებაზე წამმზომებმა სულ ერთხელ დააფიქსირეს სპორტის ოსტატის შედეგი, ხოლო სპორტის ოსტატობის კანდიდატისა — თვრამეტჯერ. ეს შედეგები სულ ცამეტი მოცურავის ანგარიშზე მოდის.

ყველაზე უკეთ გამოვიდა თბილისის მე-20 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე, დინამოელი დიანა სვინჩენკო, რომელსაც იური კირდიანოვი ავარჯიშებს. მისმა აღსაზრდელმა, როგორც ვიუწყებოდით, კიევში გამართულ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშებაში, 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.16,9) მეორე ადგილი დაიკავა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.



ანა ელიზბარაშვილი.

და აი, სვინჩენკომ, რომელიც რესპუბლიკური თასის გათამაშებაში უმცროსი ასაკის სპორტსმენებში გამოდიოდა, კიევში ნაჩვენებ შედეგი გააუმჯობესა და გაიმარჯვა (1.16,44). მას რომ ქალთა შორის ეასპარეზა, იქ გამარჯვებულს თითქმის 6 წამით აჯობებდა.

დიანას თანაგუნდელმა ეკა რატიანიძემ, რომელიც ასევე უმცროსი ასაკის მოცურავეთა შორის გამოდიოდა, სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგით 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა (1.12,76). დიანასავით მასაც რომ უფროსთა შორის ეცადა ბედი, იქ გამარჯვებულს ისიც თითქმის 6 წამით ჩამოიტოვებდა.

სვინჩენკო და რატიანიძე აღმოჩნდნენ ის იშვიათი გამონაკლისები, რომლებსაც უფროსთა შორის გამარჯვებულების დამარცხება შეეძლოთ.

ერთიცა და მეორეც 1974 წელსაა დაბადებული და, ამდენად, პერსპექტივაც სხვებზე უკეთესი აქვთ.

მათ შორის, ვინც მეტნაკლებად გამოიჩინა თავი, უნდა დავასახელოთ ისევ თბილისელი დინამოელები ანა ელიზბარაშვილი და არამ დავთიანი, რომლებიც უფროსი ასაკის მოცურავეებში გამოდიოდნენ.

დავთიანმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგებით სამი პირველი ადგილი (100 მეტრზე თავისუფალი და ბატერფლაის სტილით, აგრეთვე 200 მეტრზე ამავე სახეობაში შესაბამისად 56,06, 1.00.11 და 2.11,47 აჩვენა) დაიკავა.

ელიზბარაშვილმა ასეთივე ნორმატივებით გამარჯვებას ორჯერ მიაღწია (200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. შესაბამისად — 2.37,29 და 5.31,51).

ახლა შეჯიბრებაში მონაწილე გუნდებს გადავხედოთ.

თასის გათამაშებაში ერთმანეთს პირველად ეჯიბრებოდნენ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების გუნდები. მას შემდეგ, რაც სხვადასხვა სპორტსაზოგადოებებში გაერთიანდნენ, შეჯიბრებები ფაქტობრივად მხოლოდ ორი გუნდის, „დინამოსა“ და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, წარმომადგენლები გამოდიოდნენ. ამან გუნდებს შორის კონკურენციას ცუდი დაღი დაასვა. ამასთან, ძნელი გასაგები იყო, თუ სად როგორ მუშაობდნენ. აი, ყოველივე ამის გამო გადაწყდა, რომ ასპარეზობის მონაწილენი სპორტსკოლების გუნდებად წარმოდგენილიყვნენ.

ასე იყო თუ ისე, შეჯიბრებაში ჩაება „დინამოს“, თბილისის და რესპუბლიკის პროფკავშირთა, რუსთავის, ბათუმის, ხობისა და ქუთაისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების გუნდები. უფრო სწორედ, ქუთაისელებს საასპარეზოდ გუნდი არ ჩამოუყვანიათ. მათი ერთი სპორტსმენი თემურ კვესაძე, როგორც საქართველოს ნაკრების წევრი, თბილისში ვარჯიშობს და ქუთაისელთაგან შეჯიბრებაში სწორედ ის ჩაება. მან უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ოსტატობის კანდიდატის შედეგით (5.12,91) გაიმარჯვა და ასპარეზობაზე თავის არარსებულ გუნდს 46 ქულა შესძინა.

ცხადია, ქუთაისელთა „გუნდი“ ბოლო ადგილზე დარჩა.

შეჯიბრებაზე ვერც სოხუმელები ვიხილეთ. არადა, სოხუმელებმაც და ქუთაისელებმაც კარგად იცოდნენ, თუ რესპუბლიკური თასის გათამაშება სად და როდის უნდა გამართულიყო.

საერთო გუნდურ პირველობაში უძლიერესები დინამოელები აღმოჩნდნენ (1189 ქულა), მეორე ადგილზე გავიდნენ თბილისის პროფკავშირთა სპორტსკოლის წარმომადგენლები (1024), მესამეზე — პროფკავშირთა რესპუბლიკური სპორტსკოლის მოცურავეები. (976). მომდევნო ადგილებზე აღმოჩნდნენ რუსთავის (381), ბათუმისა (229) და ხობის (50) სპორტსკოლათა გუნდები.

შეჯიბრებაში სპორტსკოლების გუნდების გამოყვანამ მართლაც თვალნათლივ დაგვანახა, თუ ვინ როგორ მუშაობს. ამაზე გუნდურ პირველობაში განაწილებული ადგილებიც მეტყველებენ, მაგრამ რა იმალება იმ ქულების მიღმა?

მეტი სიცხადისთვის იმასაც ვიტყვით, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში დინამოელები, ალბათ, პოზიციებს არ დათმობენ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ მათ არა მხოლოდ საერთო გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს, არამედ უმცროსი ასაკის მოცურავეთა შორისაც. აქ მათ მთელი 222 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ თბილისის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სკოლის წარმომადგენლებს.

ბუნებრივია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ დინამოელები პატარებთან უკეთ მუშაობენ.

დიახ, დინამოელთა გუნდი აშკარად გამოირჩეოდა. ის სპორტსმენებიც, რომლებიც ზემოთ მეტნაკლებად კარგად მოვიხსენიეთ, დინამოელები იყვნენ, მაგრამ ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, თითქოს ამ სპორტსაზოგადოების სპორტსკოლაში მუშაობა მწვრთნელებს საათივით აქვთ აწყობილი. უბრალოდ, ისინი სხვებზე უკეთ გამოიყურებიან, თორემ საკავშირო სტანდარტებს დინამოელებიც კარგა გვარიანად ჩამორჩებიან.

მაგრამ დავუბრუნდეთ თბილისში გამართულ ასპარეზობაში გუნდების მიერ დაგროვილ ქულებს და ვნახოთ, მათი უმრავლესობა რომელი ასაკის მოცურავეთა ანგარიშზე მოდის.

პროფკავშირთა რესპუბლიკური სპორტსკოლის გუნდის მიერ მოპოვებული 976 ქულიდან 750 უფროსების ანგარიშზეა, რუსთაველმა უფროსებმა 381-დან 285 ქულა მოაგროვეს, მათმა ბათუმელმა თანატოლებმა 229-დან — 146. აი, ხობელმა ნორჩებმა კი თავიანთ საერთო ყულაბაში ქულაც ვერ შეიტანეს.

ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ უმცროსი ასაკის მოცურავე ბავშვებთან ცუდად ვმუშაობთ და ხვალინდელ დღეზე არ ვფიქრობთ.



დიანა სვინჩენკო და მისი მწვრთნელი იური კირდიანოვი.

ეტყობა, ძაღლის თავი სწორედ აქაა დამარხული. ბავშვი, როგორც იტყვიან, თუ თავისით რაღაცას გაიფხაკუნებს, სერიოზულ ყურადღებას მერეღა ვაქცევთ, მერეღა ვზრუნავთ მის დაოსტატებაზე, როცა წლები დაიკარგება.

აი, ამიტომაცაა, მშობლები რომ ჩივიან, ჩემი შვილი მთელი წელიწადია ცურვაზე დადის და ჯერ „საჭყუმპალაოდან“ „ნამდვილ“ აუზში ვერ გადაუყვანიათო. მერე, როცა იმ „ნამდვილ“ აუზში ჯახირით ბავშვი ისევ თავადვე გამოიჩენს ფხას, დავტრიალდებით, დავტრიალდებით და საბოლოოდ ისეთ სურათს ვღებულობთ, როგორც ამ შეჯიბრებაზე ვნახეთ.

იქნებ მწვრთნელებმა თავი იმართლონ, რას გვერჩით, ჩვენი თორმეტი საუკეთესო მოცურავე ამ შეჯიბრებაში არ გამოსულა. ისინი ჩელიაბინსკსა და ლენინგრადში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში გამოდიოდნენო.

მართლაც, საკავშირო თასის გათამაშება, როგორც უფროსებში, ისე უმცროსებში, მაშინ გაიმართა, როცა რესპუბლიკური ასპარეზობა ჩატარდა, მაგრამ საკითხავი ისაა, ჩელიაბინსკსა და ლენინგრადში რას მიაღწიეს ჩვენმა მოცურავეებმა?

სამწუხაროდ, ჩვენი უფროსი ასაკის მოცურავეთაგან, რომლებიც ლენინგრადში გამოდიოდნენ, სპორტის ოსტატის ნორმატივი ვერავინ შეასრულა. უფრო მეტიც, ისინი თავიანთ შესაძლებლობებზე ცუდად გამოვიდნენ და ფინალურ გაცურვაშიც ვერ მოხვდნენ. და ეს მაშინ, როცა ლენინგრადში სსრ კავშირის უძლიერესი მოცურავეები არ გამოსულან (ისინი იმ დროს ედინბურგში ევროპის თასისთვის იბრძოდნენ).

შედარებით უკეთ გამოვიდნენ ჩვენი ჭაბუკები, რომლებიც ჩელიაბინსკში ასპარეზობდნენ. აქ 1974 წელს დაბადებულ ბიჭებში დინამოელმა თემურ გუგუბერიძემ (სოხუმი) 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში, სპორტის ოსტატის კანდიდატის შედეგით (2.15,5), მესამე ადგილი დაიკავა. მესამე იყო დინამოელი გია ბახტაძეც (თბილისი), რომელმაც ამ წარმატებას 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სპორტის ოსტატის შედეგით (4.44,0) მიაღწია.

ეს იყო და ეს. ჩვენმა მოცურავეებმა მეტის მიღწევა ვეღარ შეძლეს. მათ თბილისში, ლენინგრადში და ჩელიაბინსკში გამართულ შეჯიბრებებში, ორივე ასაკის მოცურავეთა შორის, საერთო ჯამში ორად ორი ოსტატის შედეგი აჩვენეს.

ჩვენი მწვრთნელების, სპორტსკოლებისა თუ მათი ხელმძღვანელების, შეიძლება ითქვას, უთავბოლო მუშაობაზე მხოლოდ მოცურავეთა ცუდი მაჩვენებლები როდი მეტყველებენ. შეჯიბრების წინ მათმა არაორგანიზებულმა მუშაობამ სამანდატო კომისიას დიდი თავსატეხი გაუჩინა. ასპარეზობის სამდივნოში მათ ჩააბარეს შეჯიბრების მონაწილეთა ისეთი ბარათები, რომლებშიც კაცი ვერ გაიგებდა, ესა თუ ის სპორტსმენი რომელ გუნდს ეკუთვნოდა. ეს ბრალდება პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტსკოლათა წარმომადგენლებს ეხებათ, ამასთან, სამანდატო კომისიაში მათ წარმოადგინეს სპორტსმენთა ისეთი საკლასიფიკაციო ბილეთები, რომელთა მფლობელებს ექიმთა მიერ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლების ნებართვა არ ჰქონდათ აღნიშნული.

ყველაზე შორს ბათუმელები წავიდნენ — ისინი თბილისში საერთოდ საკლასიფიკაციო ბილეთების გარეშე ჩამოვიდნენ.

საქართველოს თასის გათამაშებამ ერთხელ კიდევ დაგვისვა კითხვა: რატომ ვაჭიანურებთ რადიკალური ზომების გატარებას?

**ავთანდილ ბურასაშვილი.**

ავტორის ფოტოები.

იხსნება ფიზკულტურის ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსები ■ ამ საკითხზე მიღებულია საქართველოს სპორტსახკომის დადგენილება

# სპეციალისტთა რაოდენობა გაიზრდება

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე 1989 წლის 1 იანვრიდან იხსნება ფიზიკური კულტურის და სპორტის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები, რომლის მიზანია მომზადდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მეცადინეობას ჩაატარებენ ფასიან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ ჯგუფებში, ყველა ორგანიზაციაში, გაერთიანებებში, ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბებში, სკოლებში, აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოყვარულთა კლუბებში.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური კულტურის და სპორტის ინსტრუქტორებს მოამზადებენ სამუშაოდან მოუწყვეტლივ, საღამოს საათებში.

კურსებზე ჩაირიცხებიან ისინი, ვისაც აქვს პედაგოგიური ან სამედიცინო განათლება, აგრეთვე ისინიც, ვისაც ფიზკულტურულ ორგანიზაციებში შტატში მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი და საკლასიფიკაციო პროგრამით აქვს II თანრიგი. საშუალო სპეციალური ანდა უმაღლესი განათლების მქონე პირებისათვის აუცილებელია I თანრიგი, მათთვის კი, ვინც მხოლოდ საშუალო განათლებითაა, საჭიროა ოსტატობის კანდიდატის ან ოსტატის წოდება.

კურსებზე სპეციალობას, შეარჩევენ სპორტის სახეობების მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ მსურველის მიერ არჩეული სპეციალიზაცია კურსებზე არ არის და მას კი თანრიგი აქვს, შესაძლებელია იგი ჩაირიცხოს საერთო ფიზიკური მომზადების სპეციალობით.

თუ მსმენელს თანრიგი რამდენიმე სახეობაში აქვს, სწავლებას გაივლის მხოლოდ ერთი სპეციალობით, მაგრამ მოწმობაში აღინიშნება, რომ მას უფლება აქვს ჩაატაროს მეცადინეობა სპორტის სხვა სახეობაშიც.

მსურველებმა უნდა წარადგინონ მიმართვა რაიონის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტიდან, პირადი განცხადება ან ორგანიზაციის შუამდგომლობა, კადრების საღრიცხვო ფურცელი, დიპლომის ან ატესტატის ასლი, საკლასიფიკაციო წიგნაკი, სამედიცინო ფორმა № 86 და ორი ფოტოსურათი (3X4 სმ).

კურსებზე ჩარიცხული მსმენელი ვალდებულია შეასრულოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და შინაგანაწესი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კურსებიდან გაირიცხება და სწავლის თანხა უკან აღარ დაუბრუნდება.

კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელს ეძლევა სპეციალური მოწმობა, რომელიც მას მუშაობის უფლებას აძლევს.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო სპორტკომიტეტებმა, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური მხარის სპორტკომიტეტმა უნდა შეისწავლონ მათ რეგიონებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსების ორგანიზაციის საკითხი და 1989 წლის 15 იანვრამდე რესპუბლიკის სპორტსახკომში წარმოადგინონ მოთხოვნა.

რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების სპორტკომიტეტებმა უმოკლეს ვადაში უნდა ჩაატარონ იმ ინსტრუქტორების და მწვრთნელების ატესტაცია, რომლებიც ფასიან გამაჯანმრთელებელ ჯგუფებში მუშაობენ, გამოავლინონ პირები, რომლებსაც სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება და 1989 წლის 15 იანვრამდე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან (ჭავჭავაძის პროსპექტი № 49-ა) არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე წარადგინონ განაცხადი რაოდენობისა და სპეციალიზაციის მითითებით.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყველა ინსტრუქტორი და მწვრთნელი, რომელიც მუშაობს ფასიან ჯგუფებში და არა აქვს სპეციალური განათლება, ან ხუთი წლის განმავლობაში არ გაუვლია კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, ვალდებულია 1989 წლის განმავლობაში გაიაროს იგი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მომზადება დაგეგმილია შემდეგ სპეციალობებში:

საერთო ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა; გამაჯანსაღებელი სირბილი, სიარული, სათხილამურო სპორტი; რიტმული ტანვარჯიში; ფიგურული სრიალი; ცურვა; სპორტული ცეკვა; ჩოგბურთი; ფრენბურთი; ფეხბურთი; კალათბურთი; ბადმინტონი; ველოსპორტი; ნიჩბოსნობა; მშდ-ს მრავალჭიდის კომპლექსი; ტურიზმი; სპორტული ორიენტირება; ხელბურთი; ათლეტური ტანვარჯიში; მაგიდის ჩოგბურთი; წყალბურთი; სკოლამდელი ბავშვთა ასაკის ფიზაღზრდა.

დამატებითი ცნობები, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე. მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 49 ა — ტელ. 23-32-69.

# თბილისი—ძიუდოში სტუდენტთა შორის X მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისინი ჩვენს დედაქალაქში გახდნენ ჩემპიონები


ჯენი ჰალი


დომინიკ ბერნა


ტოსიხიკო კოგა


სერგეი კოსმინინი

# იქნებ გაგვემიჯნა?

(დასასრული)

დაიხარჯა მხოლოდ სამწუთნახევარი, უფრო ზუსტად 3 წუთი და 31 წამი. 65 კილოგრამში კი ორთაბრძოლები 7 წუთსა და 14 წამში დამთავრდა. როგორც ხედავთ, გადამწყვეტი ეტაპის ექვსივე შეხვედრა წმინდა გამარჯვებით დამთავრდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ბრძოლას ძიუდოისტები ტექნიკურად სრულყოფილი ილეთით ამთავრებდნენ.

ბრინჯაოს მედლისთვის მებრძოლმა სერჟ კაიტანიმ სტარტზე იუკო „დაუთმო" მონგოლ ბოლდბაატორს, მაგრამ მაშინვე გამოასწორა მდგომარეობა და 25-ე წამზე მეტოქე მოგვერდით დასცა. ან კიდევ ხონგ კიმ ჯამისა (სამხრეთ კორეა) და კრიშტოფ კამინსკის (პოლონეთი) ორთაბრძოლა გაიხსენეთ. მეორე წუთის მიწურულში ოსტატურად შესრულებულმა შუასარმამ გამარჯვება კორეელ ათლეტს მოუტანა.

65 კილოგრამში პირველობის დან შეიძლება გემოვყოთ ფრანგი დომინიკ ბერნასა და სამხრეთკორეელ სუკ ოკ კიონგის (52 კგ) ორთაბრძოლა. მეტოქეები ერთმანეთის ღირსნი იყვნენ, გაბედულადაც მოქმედებდნენ. თავდაპირველად მსაჯებმა გააფრთხილეს კორეელი. მერე მანვე იუკო აართვა მოწინააღმდეგეს და მდგომარეობა გაათანაბრა. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ფრანგის მიერ შესრულებულმა კოკამ.

მეორე ფინალში (56 კგ) ილეთი ფაქტიურად არ გაკეთებულა, თუმცა ჯენი ჰალიცა (ნიდერლანდები) და მარია გონტოვიჩიც (პოლონეთი) თავგამოდებით ჭიდაობდნენ. ბრძოლის ბედი აქ არბიტრმა გადაწყვიტა, რომელმაც უპირატესობა ნიდერლანდელ ძიუდოისტს მიაკუთვნა.



ამ მხრივ მართლაც სამაგალითო იყო 71 კგ წონის ფინალური შეხვედრა ტოსიხიკო კოგასა (იაპონია) და ოლეგ კანონეროვს შორის. მთავარი აქ ის კი არ გახლდათ, რომ ბრძოლა 1 წუთსა და 20 წამის შემდეგ შეწყდა, არამედ ის ტექნიკურად უნაკლოდ შესრულებული კისრული, რომელმაც იაპონელს გამარჯვება მოუტანა. ძიუდო ლამაზი და მიმზიდველი სპორტი გახლავთ იმიტომ, რომ ასეთ ილეთებს უხვად მოიცავს. კოგას მიერ შესრულებული კისრული კი ქრესტომატიულ ნიმუშად გამოდგებოდა.

საერთოდ, ამ წონაში, რამდენიმე ლამაზი შეხვედრის გამოყოფა შეიძლებოდა და სწორედ პრიზიორთა მონაწილეობით. მაგალითად, ბედი ფაქტიურად ერთ-ერთ წინასწარ შეხვედრაში გადაწყდა. სერგეი კოსმინინმა მეხუთე წუთის მიწურულს ეფექტური გდებით დაამარცხა მთავარი ფავორიტი, იაპონელი მასახიკო ოკუმა. ფინალში მას არც ისე ძლიერი მეტოქე ჰყავდა პეტერ შედივაკის სახით, რომელმაც საბჭოთა ძიუდოისტს მხოლოდ ერთ წუთს გაუძლო.

აი, ოკუმამ კი ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში დაამტკიცა, რომ ტყუილად არ ითვლებოდა ფავორიტად. არა და ფრანგი ბენუა კამპარგის სახით საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა. ბრძოლა მართლაც დაძაბული და საინტერესო გამოდგა და დამთავრდა იგი იაპონელის წმინდა გამარჯვებით.

ქალთა ფინალური შეხვედრები-

ნოდარ გუგუშვილი.

### ტექნიკური შედეგები

**ქალები. 56. კგ.** 1. ჯენი ჰალი (ნიდერლანდები), 2. მარია გონტოვიჩი (პოლონეთი), 3. არმელ იოსტი (საფრანგეთი) და ცეცილია ალაკანი (კუბა).

**52 კგ.** 1. დომინიკ ბერნა (საფრანგეთი), 2. სუკ ოკ კიონგი (სამხრეთ კორეა), 3. იანა რონკაინენი (ფინეთი) და იოანა მაიდანი (პოლონეთი).

**ვაჟები. 71 კგ.** 1. ტოსიხიკო კოგა (იაპონია), 2. ოლეგ კანონეროვი (სსრ კავშირი), 3. სერჟ კაიტანი (საფრანგეთი) და ხონგ კიმ ჯამი (სამხრეთ კორეა).

**65 კგ.** 1. სერგეი კოსმინინი (სსრ კავშირი), 2. პეტერ შედივაკი (ჩეხოსლოვაკია), 3. ნორბერტ შულტერერი (ავსტრია) და მასახიკო ოკუმა (იაპონია).

## გუშინ...

**გათამაშდა მედლების ბოლო ოთხი კომპლექტი. ჩემპიონები გახდნენ: ქალებში — იტალიელი ჯოვანი ტორტორა (48 კგ) და ჩინელი ჩუან ინი (აბსოლუტური), ვაჟებში — ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ) და ევგენი პეჩუროვი (აბსოლუტური, ორივე — სსრ კავშირი).**

# მედლები...

**ჩემპიონატის** პირველი სამი დღის განმავლობაში მედლების 12 კომპლექტი გათამაშდა — ექვსი ქალებში და ექვსი ვაჟებში. აი, როგორ განაწილდა ეს მედლები ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნებს შორის.

**ქალები**

| | | | |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | — | — |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 2 |
| ნიდერლანდები | 1 | 1 | 1 |
| პოლონეთი | — | 1 | 3 |
| სამხრ. კორეა | — | 1 | 2 |
| ესპანეთი | — | 1 | — |
| გფრ | — | 1 | — |
| ჩინეთი | — | — | 1 |
| იტალია | — | — | 1 |
| კუბა | — | — | 1 |
| ფინეთი | — | — | 1 |

**ვაჟები**

| | | | |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 1 | 1 |
| იაპონია | 3 | — | 2 |
| საფრანგეთი | — | 2 | 1 |
| პოლონეთი | — | 1 | — |
| აშშ | — | 1 | — |
| ჩეხოსლოვაკია | — | 1 | — |
| გფრ | — | — | 3 |
| სამხრეთ კორეა | — | — | 2 |
| იტალია | — | — | 1 |
| გდრ | — | — | 1 |
| ავსტრია | — | — | 1 |

## ჩაგვკი მწვანე კონტინენტიდან

**30 საათი გაატარა ჰაერში 22 წლის ავსტრალიელმა სტუდენტმა შონ ალვიზიომ, რომ მონაწილეობა მიეღო X ჩემპიონატში. იგი ერთადერთი მონაწილეა ავსტრალიიდან და მისმა ჩამოსვლამ თბილისში უფლება მოგვცა ვთქვათ: ჩვენს დედაქალაქში საასპარეზოდ ჩამოვიდა პლანეტის ყველა კონტინენტის წარმომადგენელი.**



**⊙ შონ, ალბათ შენიშნეთ როგორი გულშემატკივარი იყო თქვენი სპორტის სასახლეში მოსული მაყურებელი, თქვენ კი ორი შეხვედრა წააგეთ...**

— ეს ჩემთვის არ ყოფილა მოულოდნელი. რაც მთავარია, ვნახე ყველა უძლიერესი მეტოქე და ეს ჩემპიონატი, ასე ვთქვათ, ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო.

**⊙ გინდათ თქვათ, რომ ძიუდოს საიდუმლოებაში წვდომას ახლა იწყებთ?**

— როგორ, განა ვინმეს შეუძლია ბოლომდე ჩაწვდეს ძიუდოს საიდუმლოებას? თუმცა, ახალბედა მე არ მეთქმის, ვარ ავსტრალიის მრავალგზის ჩემპიონი. 1985 წელს გავიმარჯვე ოკეანიის პირველობაში. იმ ასპარეზობაში 10 ქვეყანა მონაწილეობდა. აქ კი — ოცდაათი. ამიტომ ვთვლი, რომ თბილისში ტყუილად არ ჩამოვსულვარ.

**⊙ თბილისში თქვენ თავისუფალი დრო მეტი გამოგიჩნდათ, როგორ იყენებთ მას?**

— ბევრს დავდივარ ქალაქში, განსაკუთრებით ტროლეიბუსით, ჩემს ქვეყანაში ასეთი ტრანსპორტი საერთოდ არ ერსებობს.

**⊙ სამშობლოში როგორ იყენებთ თავისუფალ დროს?**

— საკუთარი ოჯახი არ მყავს და მუდამ მეგობრების გარემოცვაში ვარ. ვსწავლობ მაკატას ინსტიტუტში, მინდა გავხდე ფიზკულტურის მასწავლებელი. ძალიან მიყვარს ავსტრალიური ფეხბურთი, რომელიც ერთნაირად წააგავს ამერიკულ ფეხბურთს და რეგბის. ჩემი საყვარელი ანსამბლია „მენტალი", რომელიც თქვენთვის ალბათ უცნობია. კინოფილმებიდან ძალიან მომწონს „ნიანგი, მეტსახელად დანდი". როგორც შევიტყვე, თურმე ამას წინათ თქვენს ეკრანებზეც გადიოდა ეს ფილმი.

**დღევანდელი ნომრისთვის ინტერვიუები მოამზადეს პეპი ბოჭორიშვილმა და თენგიზ თომაშვილმა.**

თქვენ რას იტყვით კოლეგა?

# სტუდენტი... ტატამის მიღმა

**ჩემპიონატზე ყველა სტუდენტი მხოლოდ საასპარეზოდ როდი ჩამოვიდა. ვროცლავის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს გუეგოჟ სკშიპჩაკს მართალია ჩვენ ხშირად ვხედავთ მოვლენების ცენტრში, მაგრამ არა ტატამზე — იგი პოლონეთის სპორტული ჟურნალის „სპორტოვეცის" და გაზეთ „აკადემიჩესკი პშეგლონდა სპორტოვეს" ფოტორეპორტიორია ამ ჩემპიონატზე.**



**⊙ წააწყდით თუ არა იშვიათ კადრს?**

დიახ, თუმცა აქ საქმე მხოლოდ რეპორტიორის ნიჭზე და მონდომებაზე როდია დამოკიდებული. ფოტორეპორტიორის მუშაობაში ბევრი რამ, ჩემი აზრით, განისაზღვრება გამოცდილებით. ეს ჩემპიონატი ჩემთვის მსოფლიო დონის მესამე შეჯიბრებაა.

**⊙ მაშ, გამოცდილი ბრძანებულხართ...**

— ყოველ შემთხვევაში იმის შეგრძნება უკვე მაქვს რა მომენტში რა შეიძლება მოხდეს, მერე უკვე მოსწრებაზეა საქმე.

**⊙ კი მაგრამ სად ფოტორეპორტიორობა და სად იურისტობა?**

— თქვენ ალბათ იცით პოლონეთის დღევანდელ ეკონომიკურ სიძნელეებზე. სტიპენდია ეძლევათ მხოლოდ იმათ, ვისაც თავისი თავის რჩენის სხვა შესაძლებლობა არ გააჩნია. ცხადია, პირადად მე სტიპენდიას არ ვიღებ. ფოტოსურათების გამოქვეყნებით კი თვეში 10-12 ათასი ზლოტი მიგროვდება. საბჭოთა ფულით დაახლოებით 400 მანეთია. და კიდევ, როგორც ფოტორეპორტიორი, უსასყიდლოდ ვიღებ ფოტოაპარატებს და ვსარგებლობ ფოტოლაბორატორიით, მაქვს უფასო მგზავრობის უფლება.

**⊙ ყველანაირ ტრანსპორტზე?**

— არა, ავტობუსით, მათ შორის საქალაქთაშორისოთი და მატარებლით. მე ვროცლავში ვცხოვრობ და რედაქციები ვარშავაშია, 400 კმ დაშორებით. ასე რომ, უფასო მგზავრობა ჩემთვის დიდი შეღავათია.

**⊙ თქვენი რედაქციების გამოცდილება მოსაწონია, შეიძლება მიმბაძველები ჩვენთანაც გამოჩნდნენ.**

## ყურადღება!

დღეს ჩემპიონატის ბოლო დღეა. შეჯიბრებები დაიწყება 1[illegible] საათზე და გაგრძელდება შეხვედრების ბარეში.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# დებიუტანტი ლიდერის როლში

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**რიგა.** ადგილობრივმა ვეფ-მა ტალინის „კალევს“ უმასპინძლა და ორივე შეხვედრა დათმო. პირველი ესტონელმა კალათბურთელებმა 19 ქულით მოიგეს — 100:81 (57:43), მეორე კიდევ უფრო დიდი სხვაობით (39 ქულით) — 112:73 (58:41).

**დონეცკი.** ასევე სტუმრების უპირატესობით აღინიშნა „შახტიორისა“ და მოსკოვის „დინამოს“ ორთაბრძოლა. თანაც საინტერესოა, რომ პირველი ტაიმი ორთავე შეხვედრაში დონეცკელმა კალათბურთელებმა მოიგეს. „დინამო“ ფიზიკურად უკეთ მომზადებული აღმოჩნდა და ორივეჯერ შესძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. პირველი მატჩი მოსკოველებმა მოიგეს ანგარიშით 100:75 (31:39), მეორე — 98:85 (47:49).

**მოსკოვი.** — ცსკა ჩემპიონატში ერთადერთი კოლექტივი გახლავთ, რომელსაც ჯერ ორთაბრძოლა არ წაუგია. აი, ახლაც მან შინ ორჯერ დაამარცხა მინსკის რტი და ორივეჯერ დამაჯერებლად —109:81 (54:44) და 82:78 (46:39).

**ალმა-ათა.** დღესდღეობით გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი, ადგილობრივი ასკ. ამ ტურში მან ორი შეხვედრა მოუგო ლენინგრადის „სპარტაკს“ — 96:81 (46:45) და 86:83 (49:46).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 20 დეკემბრისათვის

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (ალმა-ათა) | 16 | 11 | 5 | 1541-1489 | 27 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 16 | 10 | 6 | 1596-1503 | 26 |
| ცსკა | 12 | 12 | 0 | 1220-957 | 24 |
| „კალევი“ (ტალინი) | 14 | 7 | 7 | 1221-1190 | 21 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 14 | 6 | 8 | 1287-1238 | 20 |
| „სპარტაკი“ (ლენინგ.) | 14 | 5 | 9 | 1131-1226 | 19 |
| ვეფ (რიგა) | 16 | 2 | 14 | 1375-1638 | 18 |
| რტი (მინსკი) | 12 | 5 | 7 | 1007-1044 | 17 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 14 | 3 | 11 | 1068-1212 | 17 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 8 | 7 | 1 | 800-731 | 15 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 8 | 7 | 1 | 754-687 | 15 |
| „დინამო“ (თბილისი) | 12 | 3 | 9 | 1024-1113 | 15 |

ჭადრაკი

## გამარჯვებული კოეფიციენტმა „დაასახელა“

**დამთავრდა** სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, 40 მოჭადრაკე მონაწილეობდა. 7-7 ქულით I-III ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა, თბილისის სატელევიზიო ქარხანა „ეკრანის“ მუშამ მუშელ მოვსესიანმა, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტული სკოლის უფროსმა მწვრთნელმა არჩილ წერეთელმა და თბილისის შალის საქსოვი ფაბრიკის მუშამ სერგო კარტაშიანმა. ბუჰგოლცის კოეფიციენტის მიხედვით ადგილები ასეთივე თანამიმდევრობით განაწილდა.

გოგონებში საუკეთესო შედეგი — 5 ქულა — აჩვენა ეკა მარშანიამ. 4-4 ქულა მოაგროვეს თამარ ჩალაძემ და ნატო ნიაურმა. უკეთესი კოეფიციენტის გამო უპირატესობა ჩალაძეს მიენიჭა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩატარდა ტრადიციული ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. არჩილ წერეთელი — 11 ქულა (13 შესაძლებლიდან), II. მუშელ მოვსესიანი — 10,5, III. ზურაბ იგრიაშვილი — 10.

**გიორგი ფამილიანტი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

## გადადებული პარტიების დამთავრებისას

**დედაქალაქის** მოჭადრაკე ვაჟთა მე-60 ჩემპიონატზე შედგა გადადებული პარტიების დამთავრება: **V ტური:** ჩიქოვანი-ლობჟანიძე — 0,5:0,5, **VI ტური:** ნეჩაევი-ხანთაძე — 1:0, **VIII ტური:** მესტვირიშვილი-ჩიქოვანი — 0:1, გოგიჩაიშვილი-ხანთაძე — 0,5:0,5, **XI ტური:** მიქაელიანი-მოვსესიანი — 0:1.

ამ დღეს გათამაშდა ორი გამოტოვებული პარტიაც. **X ტური:** პაქსაშვილი-სიგუა — 1:0, **XI ტური:** ვაშაკიძე-ხაჩიძე — 1:0.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: გივი გოგიჩაიშვილი — 8,5, დავით ლობჟანიძე — 8 (1), იური ნეჩაევი — 8, დავით პაქსაშვილი — 7 (3), გია ცქიტიშვილი — 7.

შაში

## პირველ ხუთეულში — სტუმრები

**თბილისში** დამთავრდა სსრ კავშირის I ლიგის პირველობა 100-უჯრედიან შაშში. 13 შესაძლებლიდან 9 ქულით I ადგილზე გავიდა მოსკოველი ა. შვარცმანი. შემდეგი ადგილები ასე განაწილდა: ვ. შჩეგოლევი — 8,5 ქულა, ვ. ვატუტინი, რ. ლეშჩინსკი, ლ. ციპესი — 8-8... სწორედ ამ ხუთმა მოშაშემ მოიპოვა სსრ კავშირის 35-ე ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) მონაწილეობის უფლება.

სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მეტად სუსტად გამოვიდა რუსთაველი ოსტატობის კანდიდატი თენგიზ რეხვიაშვილი, რომელმაც ქულანახევრით ბოლო, XIV ადგილი დაიკავა.

## უსინათლოთა რესპუბლიკური

**ფონიჭალის** კულტურის სახლში მოეწყო რესპუბლიკის უსინათლო მოშაშეთა პირველობა 100-უჯრედიან შაშში. 13 შესაძლებლიდან 12 ქულით (11 გამარჯვება, ორი — ყაიმი) I ადგილზე გავიდა და გაისად საკავშირო პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ფონიჭალის სასწავლო-საწარმო წამოწყების მუშამ რომან გოგოლაძემ. 9-9 ქულა მოაგროვეს და II-IV ადგილები გაიყვეს გივი დეკანოიძემ, გია დაუდიშვილმა და ილია სოტოევმა.

# ხვალ, 22 დეკემბერს...

[illegible] სპორტულ კომპლექსში იწყება პირველი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი, მეხუთე ეტაპი. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ დონეცკის „შახტიორი“, ტალინის „კოოპერატორი“, თბილისის „ბურევესტნიკი“ და ხარკოვის გუნდი. შეხვედრები 16 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ოთხი ეტაპის შემდეგ გათამაშებას ლიდერობენ ვოლგოგრადის „კაუსტიკი“ და დონეცკის „შახტიორი“ — 28-28 ქულა. მესამე ადგილზეა მოსკოვის „ისკრა“ — 26 ქულა, მეოთხეზე — ბროვარის „სტროიტელი“ — 24. თბილისის „ბურევესტნიკი“ და ვორონეჟის „ხიმიკი“ 20-20 ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფენ.

## კიევის დინამოელთა მონაწილეობით

**ბანვლილ** შაბათს ავსტრიის ქალაქ ლინცის სპორტულ დარბაზში (ზემო ავსტრიის ადმინისტრაციული ცენტრი) სტარტი აიღო მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც კიევის დინამოელებიც მონაწილეობენ.

კიეველებს პირველი მატჩი ადგილობრივ „ფორვერტს შტეიერთან“ ჰქონდათ და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1, ბურთები გაიტანეს შმატოვალენკომ, იარემჩუკმა, ბელანოვმა (2) და პროტასოვმა. აღნიშნავენ, რომ „ფორვერტსის“ შემადგენლობაში თავი გამოიჩინა კიევის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა ოლეგ ბლოხინმა, მას ბურთის გატანის რამდენიმე კარ…



შესაძლებლობაც შეექმნა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა.

კიეველებმა მეორე მატჩი „ფესტალპინესთან“ გამართეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ძლიერად ითამაშეს აგრეთვე დრეზდენის დინამოელებმა (გდრ), რომლებმაც ასევე ორი მატჩი მოიგეს „ლასკთან“ — 6:2 და ვენის „რაპიდთან“ — 2:0.

## უცხოელთა შემწეობით

**ინგლისის** ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იწყებს კამპანიას ინგლისურ კლუბებში მეტი უცხოელი ფეხბურთელის დასაშვებად, ვიდრე ეს ახლანდელი კანონებითაა ნებადართული.

— ორი ფეხბურთელის ლიმიტი დღეს ეს უკვე ანაქრონიზმია. ჩვენ მეტი რაოდენობით მაყურებელი გვჭირდება, ამას კი მივაღწევთ მხოლოდ ერთი გზით — უძლიერესი უცხოელი ფეხბურთელების მიწვევით, როგორც ამას იტალიელები და ესპანელები აკეთებენ, — განაცხადა ტ. ვენეიბლზმა, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ავარჯიშებდა ესპანეთის „ბარსელონას“, — უცხოელი ვარსკვლავების გვერდით ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებიც ისწავლიან რიგიან თამაშს, ჩვენ გარკვეული „სისხლის გადასხმა“ გვესაჭიროება, ინგლისელი ფეხბურთელები საკუთარ წვენში არ უნდა იხარშებოდნენ. ფეხბურთი ფართო კონტაქტებს საჭიროებს.

## მწვანე მინდვრიდან — ესტრადაზე

**მსოფლიოს** ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ჰოლანდიელი რუუდ გულიტი სერიოზულად დაშავდა და დროებით ვერ თამაშობს თავისი კლუბის „მილანის“ (იტალია) შემადგენლობაში. მაგრამ რ. გულიტი დროს უქმად არ კარგავს და ესტრადაზე გამოდის საკმაოდ ვრცელი პროგრამით. იტალიაში სულ ახლახან გამოსცეს რ. გულიტის სიმღერების მუსიკალური ალბომი, ესტრადაზე იგი გამოდის „რევოლეიშნის“ ჯგუფის თანხლებით.

— ამ ფირფიტის მთელ შემოსავალს, — განაცხადა რ. გულიტმა, — გადავცემ საქველმოქმედო ცენტრის მშენებლობას.

ფეხბურთელის რამდენიმე სიმღერა აპარტეიდთან ბრძოლას ეძღვნება.

## პორტუგალიელთა გადაწყვეტილება

**პორტუგალიის** ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა 1988 წლის 30 დეკემბრიდან ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე პირველი დივიზიონის კლუბებს ნება დართონ კალენდარულ მატჩებში გამოიყვანონ სულ ცოტა ოთხი უცხოელი ფეხბურთელი.

პორტუგალიაში ამჟამად მოთამაშე 750 უცხოელი ფეხბურთელიდან უმრავლესობა ბრაზილიელია.

## სულიკო თუხარელი

[illegible] სულ [illegible] იყო, დილიდან საღამომდე აქ ფუსფუსებდა.

…ასე იყო მაშინ „დინამოს“ კორტი. ყოფილ მადათოვის კუნძულზე, პრიმიტიული სამხერხაოების ადგილას, საკმაოდ დიდი მინდორი გადაჭიმულიყო. ზოგი ფეხბურთს თამაშობდა, ზოგი ჭიდაობდა, ათი რვა წლის სულიკო თუხარელი კი თავის ტოლ-ამხანაგებთან მარლენ ქობალიასთან, გურამ კაპანაძესთან, გურამ დონდუასთან, ბორის მარუგინთან და სხვებთან ერთად ერთთავად სულ ჩოგბურთით — იმ დროისათვის ცოტა არ იყოს „არავაჟკაცური საქმით“ იყო გატაცებული. მალე ოფიციალური მწვრთნელიც გამოუჩნდათ — შესანიშნავი აღმზრდელი არამ ხანგულიანი. რა გასაკვირია, რომ სულიკომ სამუდამოდ შეიყვარა ჩოგბურთი…

მრავალ შეჯიბრებაში გამოსულა ს. თუხარელი და ვინ მოთვლის რამდენი გამარჯვება მოუპოვებია. მერე კი, თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმისა (1957 წელს) და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის (1964 წელს) დამთავრების შემდეგ, პედაგოგის დიპლომით მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს სულიკოს აღსაზრდელებმა ირინე და მარინე მალაციძეებმა, ნინო და ოლიკო თუხარელებმა, ხათუნა კეკელიამ, ხათუნა ტრაპაიძემ… ყველა მათგანი სპორტის ოსტატი გახდა, ყველა რესპუბლიკის ნაკრების წევრი იყო, საქართველოსა და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი.

სულიკო თუხარელს განსაკუთრებული ტიტულები არ ჰქონია, იგი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი იყო მხოლოდ, მაგრამ ამ იშვიათად მუყაით, დიდად შრომისმოყვარე სპეციალისტს, მართლაც ყველა ემადლიერებოდა — კოლეგებიც, ნაცნობ მეგობრებიც და, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, მისი ერთგული მოწაფეები.

56 წლისა იყო, სიცოცხლით და ჯანღონით სავსე, ჭერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო…

**ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.**

## უცხოელ ვარსკვლავთა მატჩი

იტალიაში ყოველწლიურად იმართება ტრადიციული მატჩი უცხოელ ვარსკვლავთა მონაწილეობით, პირველ გუნდში გამოდიან უმაღლესი დივიზიონის კალათბურთელები, ხოლო მეორეში — მეორე დივიზიონის მოთამაშენი. **პირველი გუნდი:** დრეი (21 ქულა), რიჩარდსონი (37), დეი (14), შმიტი (28), ჯონსონი (2), გილმორი (21), ადისონი (13), ბუი (8), ტერნერი (7), ევანსი (7), ვარგასი (7), მაკი (2). **მეორე გუნდი:** რაიტი (14), ბალარდი (11), მიტჩელი (5), ბაილეი (12), ჰოვარდი (21), მაკპეილი (21), ანდერსონი (18), გალდველი (16), შმიტი (9), საპლეტონი (9), სიგლეტონი (3), კინგი (2).

მატჩი ჩატარდა პროფესიული კალათბურთის წესებით — ოთხი პერიოდი 12-12 წუთი. როგორც იტალიის პრესა აღნიშნავს, პირველი გუნდის გამარჯვება 167:143 (26:22, 59:62, 123:97) დიდად განაპირობა რიჩარდსონის (37 ქულა) და შმიტის (28) ბრწყინვალე თამაშმა.

საქართველოს პირველობა

რესპუბლიკის საფეხბურთო პირველობის III ჯგუფის ცენტრალურ ქვეჯგუფში გაიმართა გაპროტესტებული მატჩის ხელახალი შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე მუხნარში ჯავის „ბაგიათსა“ და ჭიათურის „მშენებელს“ შორის. თამაში დამთავრდა ჭიათურელთა გამარჯვებით — 5:0.

მომავალი წლიდან II ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს: გურჯაანის „ალაზანმა“, სოხუმის „სუბტროპიკმა“ და ჭიათურის „მშენებელმა“. ცენტრალურ ქვეჯგუ…ეპში გათამაშების საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება.

| | თ | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი“ | 28 | 21 | 2 | 5 | 84-36 | 44 |
| „ორპირი“ | 28 | 19 | 5 | 4 | 73-36 | 43 |
| „ცენტრმ.“ | 28 | 17 | 6 | 5 | 72-40 | 40 |
| „იბერია“ | 28 | 15 | 5 | 8 | 61-40 | 35 |
| „ფეიქარი“ | 28 | 15 | 5 | 8 | 46-33 | 35 |
| „ზარზმა“ | 28 | 15 | 3 | 10 | 68-39 | 33 |
| „ჭოგნარი“ | 28 | 14 | 5 | 9 | 57-49 | 33 |
| „ფარვანა“ | 28 | 12 | 7 | 9 | 41-35 | 31 |
| „ხვამლი“ | 28 | 10 | 6 | 12 | 32-42 | 26 |
| „ავტომობ.“ | 28 | 9 | 4 | 15 | 46-53 | 22 |
| „ლიახვი“ | 28 | 6 | 8 | 14 | 28-45 | 20 |
| „მეავეჯე“ | 28 | 8 | 3 | 17 | 38-51 | 19 |
| „მეშაქრე“ | 28 | 5 | 4 | 19 | 37-82 | 14 |
| „ქვემოჭალა“ | 28 | 5 | 4 | 19 | 40-94 | 14 |
| „ბაგიათი“ | 28 | 2 | 7 | 19 | 20-68 | 11 |

# მინიფეხბურთს ბათუმი მასპინძლობს

**ბათუმში** დაიწყო რესპუბლიკური ფინალური გათამაშება მინიფეხბურთში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. ამ საინტერესო ასპარეზობაში მონაწილეობს ზონებში გამარჯვებული 10 კოლექტივი: „ხიხანი“ (ბათუმი), „ზნაური“ (ცხინვალი), „მეგობრობა“ (თელავი), „ვერა“ (თბილისი), სოხუმი, „ოქროსუბანი“ (თბილისი), „დელფინი“ (ბათუმი), „კოლხეთი“ (ფოთი), „ნაგუთი“ (ჭიათურა) და რუსთავის გუნდი.

გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ, გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები: სოხუმი — თელავი 4:3, ფოთი — ჭიათურა 5:3, „ხიხანი“ — „ზნაური“ 6:2, „ოქროსუბანი“ — რუსთავი 5:3.

მასპინძლებმა გუნდებს კარგი პირობები შეუქმნეს დასვენებისა და შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის, ფეხბურთელები სასტუმრო „მესხეთში“ მოათავსეს, მათ განკარგულებაშია კაფე, ვიდეობარი, საწვრთნელი დარბაზი.

**ლევან ქავჟარაძე,**
**(„ლელოს“ საკ. კორ.)**

**„სპორტპროგნოზი“**

**51-ე ტირაჟის შედეგები**
**(17-18 დეკემბერი)**

1—X, 2—2, 3—2, 4—2, 5—1, 6—1, 7—1, 8—X, 9—1, 10—1, 11—2, 12—X, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. მეათე წყვილის შედეგი განისაზღვრა წილისყრით.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩიჩილაძე.**

საქართველოს სპორტსახკომი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ სპორტსახკომის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს უფროსს ქაკი მანჯგალაძეს მამის

**პროკოფი პავლეს-ძე მანჯგალაძის**

გარდაცვალების გამო.

ინდექსი 66425. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05634